

## ოქმი # 5

### თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 8 ივნისის სხდომისა

#### სხდომას ესწრებოდნენ:

**სამეცნიერო საბჭოს წევრები:** თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), გ. ბერიკელაშვილი, რ. დუდუჩავა, მ. ვლიაშვილი, ხ. ინასარიძე, ა. კვინიხიძე, მ. მანია, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, გ. ხარიბეგაშვილი, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 28 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 15 წევრი).

#### დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობების (0.5 სამტატო ერთეული) დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის საკონკურსო კომისიის შექმნა.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :** ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2022 წლის 25 მაისს გამოცხადდა კონკურსი თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის (0.5 სამტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად (თსუ რექტორის 2022 წლის 23 მაისის # 153/01-01 ბრძანება).

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

**საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ:** გრიგორ გიორგაძე, როლანდ ომანაძე, გიორგი ხიმშიაშვილი.

**ს ა კ ი თ ხ ი დ ა დ გ ა კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე .** ჩატარდა ღია კენჭისყრა.

#### კენჭისყრის შედეგები:

**გრიგორ გიორგაძე:** მომხრე - 15, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0;  
**როლანდ ომანაძე:** მომხრე - 15, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0;  
**გიორგი ხიმშიაშვილი:** მომხრე - 15, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

#### დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

1) წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **გრიგორ გიორგაძე** - ვ. ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, განყოფილების ხელმძღვანელი;
2. **როლანდ ომანაძე** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკური ლოგიკის და დისკრეტული სტრუქტურების კათედრის გამგე, პროფესორი;
3. **გიორგი ხიმშიაშვილი** - ილიას უნივერსიტეტის ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი.

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციას ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს გ. ხიმშიაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე - რ. ომანაძე, ხოლო კომისიის მდივანი - გ. გიორგაძე.

საბჭოს თავმჯდომარე

*თ. ქადეიშვილი*

თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი

*ო. ჯოხაძე*

*ო. ჯოხაძე*

